# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
# დადგენილება №01-06-02/80

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2023

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტი) შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის და მე-17[1] მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 29 დეკემბრის №01-05-04/220 დადგენილებით დამტკიცებული კრიტერიუმების შესაბამისად, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2023 წლის 29 დეკემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. გამოცხადდეს კონკურსი სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტის) შერჩევის მიზნით.
2. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ (პრეზიდენტად) შეიძლება აირჩეს აკადემიურ წრეებში ცნობილი, მაღალი რეპუტაციის მქონე მეცნიერი/მკვლევარი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 და ორგანიზაციული მართვის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება.
3. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტის) კანდიდატის ინიცირების უფლება აქვს:

ა) უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს;

ბ) უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს;
გ) უნივერსიტეტის აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის არანაკლებ 10 კაციან საინიციატივო ჯგუფს;
დ) უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრს;
ე) კანდიდატობის მსურველ პირს (დამოუკიდებელ კანდიდატს).
4. სტუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატმა) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტის) კანდიდატურის შერჩევა და აკადემიური საბჭოსთვის წარდგენა უზრუნველყოს არაუგვიანეს 2024 წლის 10 თებერვლისა.
5. სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (პრეზიდენტის) კანდიდატურების წარდგენა განხორციელდეს 2024 წლის 25 იანვრამდე.
6. კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სახელზე;
ბ) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი;
გ) სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
დ) ორგანიზაციული მართვის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ვ) რეზიუმე (CV), გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების მითითებით;
ზ) 2 ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე.
7. კანდიდატურების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდგომ სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ადგენს კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას, ატარებს მათთან გასაუბრებას და ინდივიდუალურად, ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
8. დადგენილება ძალაშია უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოქვეყნების დღიდან.
9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სხდომის თავმჯდომარე, პროფესორი** **დავით ჯაფარიძე**